ოქმი:**ო03. 3723269001**

თარიღი:**26/09/2023**

ოქმი № 16

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

2023 წელი, 22 სექტემბერი

ქ.ოზურგეთი

12.00 -13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: გელა ჩავლეშვილი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ბ. თოიძე, ნ. ღაჟონია, მ. ვაშალომიძე, ლ. ბიგვავა, ქ. ხომერიკი, ნ. ქარჩავა, გ. მდინარაძე.

სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

თანამომხსენებელი: თ. მურვანიძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის აგვისტოს თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ.

მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

სხდომის თავმჯდომარემ, გ. ჩავლეშვილმა კომისიის წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საკრებულოში წარმოდგენილი განკარგულების პროექტი : „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხოლო თანამომხსენებელმა თ. მურვანიძემ ვრცლად ისაუბრა სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესზე, მის მნიშვნელობასა და შესრულების ღონისძიებებზე, რომლებიც უშუალოდ მუნიციპალიტეტმა უნდა განახორციელოს. აღნიშნული პროექტი დაიწყო შესაბამისი სამინისტროებიოსა და არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი საქმიანობით. გეგმა მოიცავს 2023-2030 წლებს, შემდეგ განიხილა გეგმის ძირითადი მიმართულებები, გეგმა მოიცავს მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხულ შენობებს, ტრანსპორტს და გარე განათებას, ამ სეგმენტში მოხმარებულ ენერგიას, საწვავს და ა.შ. გეგმა შემუშავებულია 2019 წლის მონაცემების საფუძველზე, ითვალისწინებს პროგნოზს, რომელიც მიღწეული უნდა იქნას 2030 წლისათვის.

ძირითადი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა პასუხის რეჟიმში, თანამომხსენებელმა თ. მურვანიძემ გააკეთა კონკრეტული განმარტებები და უპასუხა დასმულ შეკითხვებს, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს განკარგულების პროექტის ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

მომხსენებელმა გ. ჩავლეშვილმა კომისიის წევრებს გააცნო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის აგვისტოს თვის ბიუჯეტის შესრულების ძირითადი პარამეტრები, აღნიშნა, რომ ბიუჯეტმა ორი ცვლილების შეტანის შემდეგ შეადგინა 70 მილიონ ლარზე მეტი, ისაუბრა ბიუჯეტის შემოსავლებზე, რომელმაც შეადგინა წლიური გეგმის 71%, ყურადღება გაამახვილა კონკრეტულად აგვისტოს თვის შემოსავლებზე სახეობების მიხედვით, ისაუბრა ამ თვეში შემოსულ ტრანსფერებზე, ამის შემდეგ კომისიის წევრებს გააცნო გაწეული ხარჯები პრიორიტეტების მიხედვით, ისაუბრა სარეზერვო ფონდიდან გაწეულ ხარჯებზეც. ინფორმაციის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, საბოლოოდ კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს ანგარიშის ცნობად მიღებას.

აღნიშნული საკითხები განხილულ იქნა კომისიათა ერთობლივ სხდომაზე.

გადაწყვიტეს:

1.დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი N1 საკითხი წარდგენილ იქნას ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

2. N2 საკითხი მიღებულ იქნას ცნობად.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი